კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის სასკოლო-საგანმანათლებლო პროექტი - „კამათის ხელოვნება" (ისწავლე თამაშით)

დებულება

„ვკამათობთ არა კამათისთვის, არამედ ვკამათობთ შედეგისთვის"

პროექტის მიზნები: ახალგაზრდებში არგუმენტირებული კამათის კულტურის, კრიტიკული აზროვნების, სასაუბრო დროის რაციონალურად სარგებლობის, საჭირო მასალებისა თუ ინფორმაციის მოძიების უნარების განვითარება. ასევე, მათი სწორად გამოყენება, კომპრომისის ნახვა და შეთანხმება.

პროექტში მონაწილეობის უფლება აქვთ საჯარო და კერძო სკოლების X, XI და XII კლასის მოსწავლეებს.

პროექტის ფორმატი:

ვკამათობთ, ვპოულობთ კომპრომისს, ვთანხმდებით;

- პროექტი შედგება ორი ეტაპისგან: ტრენინგი და თამაში;
- რეგისტრირებული გუნდები თამაშამდე გადიან შემდეგ ტრენინგებს - „კამათის კულტურა"; „შეთანხმების დოკუმენტი";
- რეგისტრაციის შემდეგ გუნდები წყვილდებიან არჩეული თემებისა და შესაბამისი მენტორის მიხედვით;
- თამაშზე თითოეულ მენტორს ჰყავს 4 გუნდი, რომლებიც დასწრების პრინციპით რეგისტრირდებიან;
- გუნდი შედგება 5 მოთამაშისგან და ჰყავს კაპიტანი;
- დისკუსიის დრო - 1:30 საათი (50 წთ. - კამათისთვის, 40 წთ. - შეთანხმებისთვის / კომუნიკეს მიღება);
- ტრენინგები და თამაშები ტარდება შაბათ-კვირას;
- გუნდებს მზადების პროცესში ლიტერატურით ეხმარება მენტორი.

შეფასების კრიტერიუმები:

- ლოგიკური მსჯელობა;
- ფაქტების ცოდნაზე დამყარებული არგუმენტირებული მსჯელობა;
- საკუთარი პოზიციის დაფიქსირება;
- მოლაპარაკების ტექნიკა და გუნდისთვის მომგებიანი შეთანხმების (კომუნიკე) გაფორმების უნარი.

პროექტის ხანგრძლივობა - 2 თვე (ნოემბერი, დეკემბერი)

მნიშვნელოვანი თარიღები:

- 10-11 ნოემბერი - **რეგისტრაცია;**
- 13-14 ნოემბერი - **ტრენინგი;**
- 27-28 ნოემბერი - **თამაში;**
- 4-5 დეკემბერი - **თამაში;**
- 11-12 დეკემბერი - **თამაში;**
- 18-19 დეკემბერი - **თამაში;**
- 25 დეკემბერი - **პროექტის დახურვა.**

სარეგისტრაციო ანკეტა უნდა გადმოაგზავნოთ შემდეგ ელექტრონულ ფოსტაზე:
schoolprojects@ciu.edu.ge

პროექტში მონაწილეობისთვის თითოეულ მენტორთან შეირჩევა 4 გუნდი, რომლებიც დარეგისტრირებული იქნებიან დასწრების პრინციპით!

პროექტის ავტორი და ხელმძღვანელი - მარინე უგულავა.
ტელ: 577 211444